



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 112
12/01/2018

ქალაქი ბათუმი

112-05-4-201801121352



„ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობაში საშტატო ნუსხით გათვალისწინებულ თანამდებობათა დასახელებების განსაზღვრისა და პროფესიულ საჯარო მოხელის თანამდებობათა იერარქიულ რანგებში განაწილების უზრუნველყოფის მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ“ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 15 ივნისის №615 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე.“ ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის მოქალაქეთა მომსახურებისა და საქმისწარმოების განყოფილების ადამიანური რესურსების მართვის საკითხებში უფროსი სპეციალისტის ელზა გოგიტიძის 2018 წლი 05 იანვრის №28-05 მოხსენებითი ბარათის თანახმად **ვბრძანებს:**

1. „ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობაში საშტატო ნუსხით გათვალისწინებულ თანამდებობათა დასახელებების განსაზღვრისა და პროფესიულ საჯარო მოხელის თანამდებობათა იერარქიულ რანგებში განაწილების უზრუნველყოფის მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ“ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 15 ივნისის №615 ბრძანებაში შევიდეს შემდეგი ცვლილებები:

ა) ბრძანების სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიაში საშტატო ნუსხით გათვალისწინებულ თანამდებობათა დასახელებების განსაზღვრისა და პროფესიულ საჯარო მოხელის თანამდებობათა იერარქიულ რანგებში განაწილების უზრუნველყოფის მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ“.

ბ) ბრძანების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) ჯუმბერ ვარდმანიძე - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერი - ჯგუფის ხელმძღვანელი;

ბ) ზვიად ხალვაში - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე - ჯგუფის წევრი;

გ) ტარიელ ნაკაშიძე - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის ხელმძღვანელი - ჯგუფის წევრი;

დ) მირზა ბატაძე - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის ხელმძღვანელი - ჯგუფის მდივანი.“.

2. დაევალოს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის მოქალაქეთა მომსახურებისა და საქმისწარმოების განყოფილებას (ნ. ქოქოლაძე) ბრძანების გაცნობა (მიწოდება) დაინტერესებულ მხარეებზე.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მის. ქალაქი ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358) დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

4. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

ჯუმბერ ვარდმანიძე

მუნიციპალიტეტის მერი

ხელმძღვანელობა

